



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 52

2022 წლის 11 მარტი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების
ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471031) 2021 წელს შესრულებული საქმიანობის
ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471031) 2021 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ 418471031) 2021 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე





ა(ა)ივ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და
ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის
სააგენტოს მიერ 2021 წელს განხორციელებული
საქმიანობის ანგარიში

2017 წლის დეკემბერში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო, რომელიც შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან-განყოფილებებისგან



ადმინისტრაციული
განყოფილება




ახალგაზრდობისა და
კულტურის განვითარების
განყოფილება



ტურიზმის
განყოფილება



მუზეუმების
განყოფილება



სამუსიკო და
სახელოვნებო სკოლების
განყოფილება



ბიბლიოთეკების
განყოფილება



მწერალთა
სახლი

მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო

კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო ახორციელებს პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს კულტურის სფეროს გაუმჯობესებასა და ხელს უწყობს გორის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ხელოვანებს, ნიჭიერ ახალგაზრდებს, შემოქმედებით ჯგუფებს, რათა მოახდინონ პოპულარიზაცია საკუთარი შესაძლებლობებისა და ამავდროულად სათანადოდ წარმოაჩინონ მუნიციპალიტეტი. სააგენტოს ხელშეწყობით, აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებსა და მასტერკლასებში. აქედან გამომდინარე, გასული წლის სამუშაო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ძალზედ დატვირთული და შინაარსიანი იყო, თუმცა ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ, ხელი შეუშალა დაგეგმილი აქტივობების მნიშვნელოვანი ნაწილის შესრულებას, გარკვეული პროექტები კი წარმატებით განხორციელდა, რის ანგარიშსაც წარმოგიდგენთ განყოფილებების მიხედვით:



ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილება

ახალგაზრდობისა და კულტურის განვითარების განყოფილება განსაკუთრებით გამოირჩევა საქმიანობის მოცულობით, პანდემიამდე ხორციელდებოდა როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ-შემოქმედებითი პროექტები, იმართებოდა კონკურსები მოსწავლეებისთვის, საქალაქო ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ განყოფილებაში არსებული საგანმანათლებლო და შემოქმედებითი წრეების მოსწავლეები. მიუხედავად ეპიდ ვითარებისა, გორის მუნიციპალიტეტში მოქმედი 39 წრე, აგრძელებდა მუშაობას მთავრობის დადგენილების შესაბამისად (პერიოდულად დინსტანციურად). ქვეყანაში არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდა კალენდარული გეგმით გაწერილი აქტივობები, თუმცა აღინიშნა ისეთი მნიშვნელოვანი თარიღები, რაც საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგედიებს ვგახსენებს (9 აპრილი, 8 აგვისტო)



ტურიზმის განყოფილება

ტურიზმის განყოფილებაში, როგორც ონლაინ, ასევე ყველა რეგულაციების დაცვით პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით, პრაქტიკა გაიარა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა.

2021 წლის 29 იანვარს, სტუდენტები მორიგ პრაქტიკულ მეცადინეობაზე გორის კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე შეიკრიბნენ. მათ ტურიზმის განყოფილების დავალებით, შეხვდა და საველე მეცადინეობა ჩაუტარა, ტურიზმის განყოფილების ინსტრუქტორმა, მთავარმა სპეციალისტმა მამუკა (სკიპი) ნადირაძემ, საუბარი წარიმართა საველე ტურიზმის პირობებში უსაფრთხოების ზომების დაცვასა და ტურისტული რუკების გამოყენებაზე



ტურიზმის განყოფილება



21 თებერვალი გიდების მსოფლიო დღეა. სწორედ ამ დღეს მიემძვნა შეხვედრა გორის მუნიციპალიტეტის მუზეუმების ხელმძღვანელებთან, რადგან გიდების მოწვევა (მათი რიცხვი 45 - ს შეადგენს), ვერ მოხერხდა კოვიდ - პანდემიის რეგულაციების დაცვის გამო.

შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ: შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია, გორის მუნიციპალიტეტის მერია, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილება.

ტურიზმის განყოფილება

2021 წლის 31 მარტს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს და ამავე სააგენტოს ტურიზმის განყოფილების მიერ, შეხვედრა მოეწყო საოჯახო ღვინის მარნების მეპატრონეებთან.

გორის მერიისა და საკრებულოს მიერ მისალოცი ბარათებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ: „Welcome to Georgia“ - ს ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების პირველი პრიზის მფლობელი, როგორც „საუკეთესო მცირე მეღვინეობა 2020“ - ში გამარჯვებული, საოჯახო ღვინის მარნის „შატო ატენის“ მეპატრონე იოსებ ვანიშვილი და ღვინის ექსპორტით, მსოფლიო ბაზარზე წარმატებული საქმიანობისთვის, ძმები ცოტნე და შოთა შერმადინები.



ტურიზმის განყოფილება

გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილება, აქტიურადაა ჩართული ახალი ტურისტული სეზონისთვის მზადების პროცესში, მიუხედავად „კოვიდ - 19“ პანდემიის მიმდინარეობისა, 2021 წლის 16 აპრილს, არსებული რეგულაციების სრული დაცვით, შიდა ქართლის სოფლის საოჯახო სასტუმროებისთვის, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ ტრენინგი ჩატარდა. სადაც საუბარი იყო თუ როგორ უნდა მოეწყოს საოჯახო სასტუმრო სოფლის პირობებში, რათა ის აკმაყოფილებდეს აგროტურიზმის მოთხოვნებს და ტურისტებისთვის შეიქმნას სასურველი კომფორტი.



ტურიზმის განყოფილება



2021 წლის 01 მაისს, გორში, ტაძრების მოედანზე, პატარა ტაძრის ეზოში, გორისა და ატენის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე ანდრიას ლოცვა კურთხევით, საქართველოს წითელი ჯვრის გორის განყოფილების და გორის მუნიციპალიტეტის კულტურის და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, უმწეოთა დახმარების მიზნით, ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების საქველმოქმედო გამოფენა - ბაზრობა მოეწყო.



ტურიზმის განყოფილება



2021 წლის 08 ივნისს, ტურიზმის განყოფილებაში შეხვედრა მოეწყო, ტურიზმის სფეროს საქმიანობით დაინტერესებულ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის პრაქტიკანტ სტუდენტთა ერთ ჯგუფთან.



ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელობით სტუდენტთა ჯგუფი გორის მუზეუმებს ეწვია. მათ შორის, სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელმა თინა სოსანიძემ და ამავე მუზეუმის საექსპოზიციო განყოფილების კურატორმა - თამილა კოშორიძემ ვრცლად ისუბრეს მუზეუმის საქმიანობაზე. ი. სტალინის სახემწიფო მუზეუმის დირექტორმა ლია ოქროპირიძემ სტუდენტებს პრაქტიკის გავლის საკითხები გააცნო.

ტურიზმის განყოფილება

მზადება ტურისტული სეზონისთვის

ტურიზმის განყოფილებამ ინტენსიურად დაიწყო მზადება ახალი ტურისტული სეზონის შესახვედრად. განყოფილების თანამშრომლების შემადგენლობით შევქმენით საექსპედიციო და საორგანიზაციო საქმიანობის ჯგუფები. მათ შორის ერთ-ერთი მდინარე ტანას ხეობის ტურისტული ინფრასტრუქტურის შემსწავლელი ჯგუფია, რომელსაც ჩვენი განყოფილების მთავარი სპეციალისტი თამაზ მაცაშვილი ხელმძღვანელობს. სწორედ მათ დაევალებათ ტანას ხეობაში ტურიზმის განყოფილების ბალანსზე არსებული, სასწავლო ბანაკისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე სპეციალური ბანერის მომზადება და დამონტაჟება.



ტურიზმის განყოფილება



ტურიზმის განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტურიზმის საქმიანობით დაინტერესებულ ახალგაზრდა კადრების მომზადებას, ამ მიზნით მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის ფაკულტეტის ხელმძღვანელებთან და ქალბატონ მაია აზმაიფარაშვილთან, ყოველწლიურად ჩვენი დახმარებით, სტუდენტების გარკვეული ჯგუფი პრაქტიკას გადიან ტურიზმის განყოფილებაში, პრაქტიკული საქმიანობის ჩვენი გეგმის მიხედვით ისინი ასევე , გორის მუზეუმებში ეუფლებიან ექსკურსიამდლოლის პროფესიას.

ტურიზმის განყოფილება

გორის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული მომსახურების ობიექტების შესწავლის მიზნით, ტურიზმის განყოფილებაში შექმნილი საექსპედიციო ჯგუფი ეწვია და განყოფილების პროვაიდერთა ბაზაში გააწევრიანეს: სასტუმრო „Old Town“, რომელიც მდებარეობს გორის ერთ-ერთ უძველეს უბანში იერუმალაიმის 8 ნომერში; საოჯახო სასტუმრო „ნიცა“, ქუთაისის ქ. 58 -ში; თანამედროვე ტიპის 4 ვარსკვლავიანი სასტუმრო „Georgia Gold“- ი, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში, სტალინის 26 ნომერში; სტალინის ქ. 22 ა-ში ტურისტული სააგენტო „Pink Travel“-ი და ტურისტულ კომპანია „DaLa Tourism“- ი.



ტურიზმის განყოფილება

ტატულაშვილების საგვარეულო კერამიკის სახელოსნო მუზეუმი, ტურიზმის განყოფილების გაციფრულების ექსპედიციამ „გუგლის“ რუკაზე განათავსა. გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილების მიერ შექმნილი ექსპედიციები აქტიურად აგრძელებენ საქმიანობას.



ტურიზმის განყოფილება



გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოს ტურიზმის განყოფილებამ, ამავე სააგენტოს მწერალთა სახლთან ერთად, 2021 წლის 30 ივლისს, გორის მწერალთა სახლში, ახალი პილიგრიმული ტურისტული გზამკვლევი წიგნის „ შიდა ქართლის ეკლესია - მონასტრები“ - ის პრეზენტაცია გამართა. წიგნში ფოტოების სახით, წარმოდგენილია შიდა ქართლში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კერძოდ ეკლესია მონასტრების უმეტესი ნაწილი.



ტურიზმის განყოფილება

27 სექტემბერს, მსოფლიო ტურიზმის დღეს მიეძღვნა გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოს დირექციის შეხვედრა, სააგენტოში შემავალი ტურიზმის განყოფილების მუშაკებთან. შეხვედრაზე ვრცლად განიხილეს ტურიზმის განყოფილების მიერ, პანდემიის მიუხედავად 2021 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა და დაისახა სამომავლო გეგმები.



ტურიზმის განყოფილება

2021 წლის 15 ოქტომბერს, უფლისციხის ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმ - ნაკრძალში ტრადიციული სამემოდგომო ტურისტული გამოფენა ბაზრობა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, ხალხური რეწვის ოსტატებმა, საოჯახო სასტუმროებმა, კერამიკოსებმა, ცნობილმა ვოკალურმა კვარტეტმა „ფორტე“-მ - ხელმძღვანელი ზურაბ მანჯავიძე, ასევე გორის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ - საგანმანათლებლო ცენტრის საესტრადო სტუდია „მზე“ -მ და ვოკალურმა ანსამბლმა „იმედი“, ხელმძღვანელი მანანა გვერდწითელი.



სერბი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

2021 წელს გორის ისტორიულ-
ეთნოგრაფიული მუზეუმის
მიერ შესრულებული
სამუშაოები და ღონისძიებები



სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

31 მარტს მუზეუმს ესტუმრნენ USAID/Georgia-ს მისიის დირექტორი პიტერ ვიბლერი და ისრაელის ელჩი საქართველოში რან გიდორი, ასევე, USAID/Zrda-ს ხელმძღვანელის მოადგილე ბრიტანი პატერსონი, მათ შიდა ქართლის გუბერნიის და მერიის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერეს USAID/Zrda-ს და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მოწყობილი ახალი ნუმისმატიკური ექსპოზიცია და საგანმანათლებლო სივრცე.



სერბი მაკალათიას სახელობის ბორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

მუზეუმის ფონდის მთავარი შემნახველის:
იამზე ხომასურიძის ხელმძღვანელობით
მიმდინარეობს კერამიკის უნიკალური
კოლექციის ფოტოფიქსაცია



სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

18 აპრილი - მუზეუმის ახალი ნუმისმატიკური გახსნასთან დაკავშირებული
ღონისძიება.



სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

სამუზეუმო კვირეულის ფარგლებში, სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმში 2021 წლის 18-22 მაისს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. მუზეუმის ახალი ექსპოზიციები - ვირტუალური ტური.
2. ონლაინ სემინარი - „მუზეუმების მომავალი აღდგენა და გარდასახვა“
3. ფოტოკოლაჟის „ტრადიციებით - ცვლილებებისკენ“ ონლაინ პრეზენტაცია.
4. ონლაინ დისკუსია თემაზე - „მუზეუმი და თანამედროვე გამოწვევები“ მუზეუმის საგანმანათლებლო ჯგუფის და ლურჯი ფარი-საქართველოს ეროვნული კომიტეტის ჩართულობით.
5. მუზეუმში 2021 წელს USAID/ ZRDA საქართველოსთან ერთად განხორციელებული პროექტის ფოტოკოლაჟი „წარსულის ფულით მომავლის მდგრადობისკენ“.
6. ღამის მუზეუმი - გორის მუზეუმის ახალი მიუნცკაბინეტის ონლაინ პრეზენტაცია. წარმდგენი - მია პატარიძე, ნუმიზმატი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ისტორიის დოქტორი.
7. ახალი ექსპოზიციის ალბომის „ნუმიზმატიკური შედეგები გორის მუზეუმიდან“ ონლაინ პრეზენტაცია
8. ვირტუალური ტური - მუზეუმის ახალი ექსპოზიციების შესახებ



სერბი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

მაისში მუზეუმში განხორციელდა ორი საგანმანათლებლო პროგრამა „პატარა არქეოლოგები“



სერბი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

საზაფხულო სკოლა.

„მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“

პროგრამა მოიცავს 2 კვირას (2 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით) და შედგება

შემდეგი აქტივობებისაგან:

2 ივლისი-გაცნობითი შეხვედრა

3 ივლისი-არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა

პრეზენტატორები:თამილა კოშორიძე და ნია ლომოური

6 ივლისი-მოგზაურობა მუზეუმის ძირითად ფონდში

მუზეუმის ხელნაწერების ფონდი

პრეზენტატორები:იამზე ხომასურიძე და ეკა ილარიშვილი

7 ივლისი-ნუმიზმატიკის კოლექციიდან თანამედროვე ექსპოზიციამდე

პრეზენტატორები:ნათია ბერუაშვილი და თამარ ქორელი

8 ივლისი-კულტურული მემკვიდრეობის ფოტო-ფიქსაცია

პრეზენტატორი:ოთო გვრიტიშვილი

9 ივლისი-ვიზიტი სამხატვრო სკოლაში „გრაფიკის საფუძვლები“

10 ივლისი-ურბან სკეჩინგი

პრეზენტატორი: მაქი კვიციანი (ხელოვნებათმცოდნე)

14 ივლისი-სასწავლო არქეოლოგიური ექსპედიცია (გასვლითი: გრაკლიანის არქ. ველი)

16 ივლისი-დასკვნითი ვიზიტი ძევერაში ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში: პრეზენტაცია მუზეუმები და თანამედროვეობა



სერბი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

ფონდ ALIPH -ის (კონფლიქტურ რეგიონებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ალიანსი) მხარდაჭერითა და ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტის ორგანიზებით შიდა ქართლში ტარდება 14.07. - 16.07 -ის ჩათვლით ტრენინგი „ პირველადი დახმარება კულტურული მემკვიდრეობისთვის კრიზისის დროს" ტრენინგს უძღვება რეზეკა კენედი სამუზეუმო კურატორი აშშ - დან.



სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

22 ოქტომბერს მუზეუმის ეზოში მოეწყო ერთდღიანი გამოფენა „მხატვრის თვალით დანახული ძველი გორი.“



სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების განყოფილების
სექტორებია: გორის ანა ფერაძის სახელობის სამხატვრო სკოლა,
გორის ვანო მურადალის სახელობის მუსიკალური სკოლა, სოფ.
ატენის, სკრის, ხელთუბნის, ტყვიავის, ტირძნისის მუსიკალური
სკოლები და კონსტანტინე მეღვინეთუხუცესის სახელობის სოფელ
ხიდისთავის ხელოვნების სკოლა.

აღნიშნული სკოლების კონტიგენტი დღეის მდგომარეობით შედგება 1367
მოსწავლისგან, აქედან 2021-2022 სასწავლო წელს ჩარიცხულია 257 მოსწავლე.
პანდემიიდან გამომდინარე, მთავრობის დადგენილების შესაბამისად
გაკვეთილები პერიოდულად დისტანციურად იმართებოდა, რასაც ხელი არ
შეუშლია მოსწავლეებისთვის, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ კონკურსებსა
და ფესტივალებში.

სამუსიკო და სახელოვნებო სკოლა



2021 წლის 16 აპრილს, გორში გაიმართა კლასიკური მუსიკის მე 14 კონკურსი „მომავლის ვარსკვლავები“, სადაც მონაწილეობა მიიღეს სოფ. ხელთუბნისა და ვ.მურადელის სახელობის მუსიკალური სკოლების მოსწავლეებმა. კონკურსში გამარჯვებულ ოთხ მოსწავლეს გადაეცა სიგელები ქ. თბილისში გამართულ გალა კონცერტზე.

25 მაისიდან 28 ივნისამდე დისტანციურად მიმდინარეობდა ნ. ანდლულაძის სახელობის ახალგაზრდა ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი, სადაც მონაწილეობდა გორის ვ. მურადელის სახ. მუსიკალური სკოლის ორი მოსწავლე (ნიცა წაველიძე, ელენე კოჩუაშვილი) , რომლებმაც პირველი ადგილი დაიკავეს.

ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირის „ჰარმონია“ მიერ, 2021 წლის 8 აგვისტოს, ბორჯომში გაიმართა ფესტივალი, სადაც მესამე ადგილოსანი გახდა, ვ. მურადელის სახელობის მუსიკალური სკოლის მე 6 კლასის მოსწავლე თეკლა მირუაშვილი.



სამუსიკო და სახელოვნებო სკოლა



2021 წლის 23 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების რეგიონალური მე 10 ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო ვ. მურადელის სახ. სკოლის თორმეტმა მოსწავლემ, აქედან საპრიზო ადგილი გაინაწილა 8 მოსწავლემ.

ბიბლიოთეკების განყოფილება

ბიბლიოთეკების განყოფილება დაყოფილია სექტორებად:
ცენტრალური ბიბლიოთეკა, მოზრდილთა ბიბლიოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკა.

ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არის სპეციალური განყოფილება, რომელიც დახმარებას უწევს უსინათლო და სმენადაქვეითებულ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ ბრაილის შრიფტით დაწერილი წიგნებით და ხმოვანი დისკებით.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს :35435 ეგზ.

მკითხველზე გაიცა : 6970 წიგნი.

ახალი მკითხველის რაოდენობამ 2021 წელს შეადგინა 1487 .

2021 წელს, სულ ბიბლიოთეკით ისარგებლა 11658 მომხმარებელმა.

ბიბლიოთეკა მკითხველს ემსახურება კომპიუტერული ტექნიკითა და აუდიო აპარატურით.



ბიბლიოთეკების განყოფილება

ცენტრალური ბიბლიოთეკა



ბიბლიოთეკების განყოფილება

ცენტრალური ბიბლიოთეკა



ბიბლიოთეკების განყოფილება

მოზრდილთა ბიბლიოთეკა

მოზრდილთა ბიბლიოთეკამ ფუნქციონირება დაიწყო 2019 წლის 1 აპრილს, ბიბლიოთეკა ემსახურება წმინდაწყლის დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობას.

განყოფილების წიგნადი ფონდი შეადგენს 20442ეგზ.

მკითხველზე გაიცა 3939 წიგნი.

2021 წელს ახალი მკითხველის რაოდენობამ შეადგინა 450 .

2021 წელს, სულ მოზრდილთა ბიბლიოთეკით ისარგებლა 1665 მკითხველმა.



მწერალთა სახლი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა ლიტერატურულ ჟურნალ „მწიგნობრის“ ორი ნომერი.

ელექტრონული პუბლიკაციები

1. მავთულხლართის მიღმა დარჩენილი საქართველოს სამწერლო ისტორიიდან;
2. ეს ჩემი საქართველოა- თქმულებათა კვალდაკვალ ხალხური შემოქმედების ისტორიიდან;
3. „იაკობის დაბრუნება“;
4. ქართული პოეზიის სათავეებთან;
5. შიდა ქართლის მწერლობის ისტორიიდან;
6. პანთეონი-ჟამი სახსოვრის არდავიწყებისა;
7. მწერლები დევნილთა მხარდამხარ;
8. გაყვითლებული პრესის ფურცლებიდან : ქართველი (გორელი) მწერლები სახალხო სკოლების სამსახურში;
9. ქართველი მწერლები მშობლიური ენის სიწმინდისთვის ბრძოლაში: „რა ენა წახდეს...“
10. გალაკტიონი და გორი;
11. ქართველი (გორელი) მწერლები გორის თეატრის სათავეებთან ;
12. ერისკაცები -ღვაწლი დიდმოღვაწე ნიკო ცხვედაძისა , იაკობისა, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანისა;
13. ილია და გორი;
14. გაიცანით, გორელია (ახალი სახელები) !

მწერალთა სახლი

21 მარტს მწერალთა სახლში აღინიშნა პოეზიის საერთაშორისო დღე, სადაც შეკრებილმა გორელმა პოეტებმა ერთმანეთს ახალი ლექსები გაუზიარეს.



მწერალთა სახლი

აპრილის თვეში გაიმართა გორელი მწერლების (თამარ მეტრეველი, ვახტანგ ჭანკოტაძე, ომარ ტურაშვილი) წიგნების პრეზენტაცია.



მწერალთა სახლი

23 აპრილს, წიგნების საერთაშორისო დღეს, შინდისის გმირების ბიბლიოთეკას გადაეცა გორელი მწერლების მიერ შეგროვებული წიგნები.



მწერალთა სახლი

18 აგვისტოს, მწერალთა სახლში აღინიშნა დამსახურებული გორელი ქალბატონის-ჟუჟუნა ვაშაგაშვილის 85 წლის იუბილე, მოეწყო პოეზიის საღამო.



მადლობა ყურადღებისათვის!

gori.culture.center@gmail.com

